ოქმი:**ო08.37221251**

თარიღი:**05/05/2022**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 3 მაისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, პ. კიღურაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე, ნ.ურუშაძე, ვ.ნიჟარაძე, ლ.კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ჯართი) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ჯართი) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/